

„განხილულია“
პროფესიული საბჭოს სხდომაზე
21.03.2016 წელი

„ვამტკიცებ“
სკოლა-პანსიონის დირექტორი
ბრძანება №41/2; 21.03.2016წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის
სახელობის სკოლა-პანსიონი

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მესამე საფეხური

თბილისი

2015-2016 სასწავლო წელი

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები:

საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

- პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს (2010);
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #120/ნ ბრძანებას (დანართი 2 - პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 24 აგვისტოს #266 ბრძანებით დამტკიცებულ დღურგლის პროფესიულ სტანდარტს;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121/ნ (10.12.2010წ.) ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;
- ა (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის წესდებას.

II. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი

III. პროფესიული განათლების საფეხური:

მესამე საფეხური

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა, შინაარსი და სწავლების ენა:

პროგრამის მოცულობა – 60 კრედიტი- 1500 საათი

პროგრამის ხანგრძლივობა – 40 კვირა.

კრედიტების განაწილება:

- ✓ 14 კრედიტი –350 საათი - ეთმობა თეორიულ კომპონენტს
- ✓ 37 კრედიტი –925 საათი - ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს
- ✓ 1კრედიტი = 25 საათი
- ✓ პრაქტიკის კომპონენტს ეთმობა პროგრამის მოცულობის 60 %

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

პროგრამის 1500 საათიდან 1143 საათი საკონტაქტოა, ხოლო 357 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. საკონტაქტო საათებიდან 212 საათი დათმობილი აქვს თეორიულ საგნებს, 536 საათი სასწავლო პრაქტიკას, 345 საათი საწარმოო პრაქტიკას, 50 საათი შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. პროგრამა მოიცავს 4 ზოგად და 5 პროფესიულ საგანს

სწავლების ენა: ქართული

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად/საბაზო განათლება

VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

1. მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი,

- ✓ პროგრამის მიზანია მოამზადოს ხიმ მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, რომელსაც ეცოდინება ხეზე კონტურული, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის ჭრა.

2. გამოუმუშაოს პროფესიულ სტუდენტებს შემდეგი ზოგადი უნარები:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- გუნდური მუშაობის
- რაოდენობრივი აზროვნების
- პუნქტუალობის და პასუხისმგებლობის
- მეწარმეობის

პროგრამის დასრულების შემდეგ, შედეგი მიღწეულია, როცა მესამე საფეხურის დამთავრებისას კურსდამთავრებულმა იცის და გაცნობიერებული აქვს: ხეზე მხატვრული ჭრისა და ხის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიების უნარი.

VIII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	იცის: <ul style="list-style-type: none">✓ შრომის უსაფრთხოების ნორმები და წესები;✓ სამუშაო ადგილის ორგანიზაციის წესი;✓ სატყეო საქონლის სახეები და მათი ფიზიკურ-მექანიკურ თვისებები;✓ წებო და გასაწყობი მასალები;✓ ხის პროდუქციის დადგენილი ხარისხის განსაზღვრის წესი;
-----------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

	<ul style="list-style-type: none"> ✓ იცის მერქნის დამუშავების და შეერთების მეთოდები; ✓ ხის დამუშავებისათვის საჭირო მექანიკური ჩარხების, ხელსაწყო-იარაღების და სამარჯვების (მზომი, ხელის და მექანიზირებული პნევმატური, მექანიკური და ელექტრო იარაღების), მოვლისა და სამუშაოდ გამართვის წესები; ✓ იცის ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის ნაკეთობის ესკიზისა და მარტივი ნახაზის შედგენის წესი; • შეუძლია: ნახაზზე ხედების განლაგება; ზომების დატანა.ძირითადი გეომეტრიული სხეულების ჭრილების შესრულება, ესკიზების შედგენა ✓ სადურგლო ნაკეთობების ესკიზებისა და ნახაზების წაკითხვისა და გაგების წესი; ✓ საბაზო დონეზე ფლობს პროფესიულ სიტყვათა მარაგს, ავეჯის ისტორიასა და დიზაინს; ✓ პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულებასა და სამუშაო პროცესში კოლეგებთან ურთიერთობაზე. ✓ ზედამხედველობს და აკონტროლებს, როგორც არასტანდარტული, ასევე სტანდარტული ოპერაციების შესრულებას და ხშირად მათ კომბინირებას. ✓ ზოგადი ცნობები სამეწარმეო საქმიანობის შესახებ; ✓ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი რეგისტრაციის წესი; ✓ გადასახადების სახეები საქართველოში; ✓ ბიზნეს გეგმის სტრუქტურა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვა; ✓ სამუშაო ადგილის ორგანიზაცია; ✓ ხის დამუშავებაში გამოყენებული ხელის ინსტრუმენტების გამოყენება; ✓ მარტივი სადურგლო ნაკეთობების დასამზადებლად შემდეგი სამუშაოების შესრულება: <ul style="list-style-type: none"> • ხის მასალის გაზომვა • მერქნის დამუშავება • სადურგლო შეერთებების შესრულება • მოპირკეთება ✓ ხელის პნევმატური, მექანიკური და ელექტრო იარაღების გამოყენება და მათი მოვლა, შერჩევა და გამართვა ✓ მარტივ სადურგლო ნაკეთობათა და სადურგლო დეტალების დასამზადებლად საჭირო მექანიკური

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

	<p>ჩარხების გამოყენება</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ასრულებს როგორც არასტანდარტულ, ასევე სტანდარტულ ოპერაციებს საწარმოში მიმდინარე პროცესების შესაბამისად
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მუშაობის შეფერხების მიზეზების დადგენა, ხელსაწყოებისა და მჭრელი იარაღების ტექნიკური პასპორტისა და საექსპლუატაციო ინსტრუქციების გამოყენება, ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ შეფერხების მიზეზების დადგენა და დასკვნის გამოტანა მათ აღმოსაფხვრელად ✓ შეუძლია მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სიტუაციების სწრაფად შეფასება და გაანალიზება.
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს პროფესიულ საკითხებზე დეტალური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან და ხელმძღვანელთან. ✓ შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროებიდან მოძიოს და გამოიყენოს შესაბამისი ინფორმაცია წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისთვის. ✓ ინგლისური ენის კითხვის წესების გამოყენებით ტექსტის წაკითხვა, უცხო სიტყვების მოძიება და თარგმნა ✓ პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება ინგლისურ ენაზე კომუნიკაციისათვის.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს უნარი და ნებისყოფა განაგრძოს პროფესიული ზრდა გამოცდილი ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით. ✓ შეუძლია პროფესიული ტერმინოლოგიის და პროფესიაში არსებული სიახლეების ათვისება.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> ✓ იცავს პროფესიულ ეთიკას: აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, არის მოწესრიგებული და ორგანიზებული. ✓ აქვს პასუხისმგებლობა შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის მიმართ ✓ შეუძლია მცირე ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

VIII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1. სპეც. ტექნოლოგია	✓	✓		✓	✓	
2. მასალათმცოდნეობა	✓		✓	✓	✓	
3. სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა	✓	✓	✓	✓	✓	✓
4. უცხოური ენა - ინგლისური	✓	✓		✓	✓	
5. ქართული ენის მართლწერა და მართმეტყველება	✓			✓	✓	✓
6. ინფორმატიკა	✓					
7. ქართული კულტურის ისტორია	✓			✓		✓

IX. სასწავლო გეგმა:

N	საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება				სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სასწავლო /საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება	თეორიული პრაქტიკული		
	ზოგადი მოდული							
1	ინფორმატიკა	2	50				16	50
2	უცხოური ენა - ინგლისური	2	50				16	50
3	ქართული ენის მართლწერა და მართლმეტყველება	2	50				16	50
4	ქართული კულტურის	3	75				27	75

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

	ისტორია							
	<i>საბაზო მოდული</i>							0
5	მასალათმცოდნეობა	7	175		107		65	175
6	სასწავლო / საწარმოო პრაქტიკა	37	925	876				925
7	თეორიული სწავლება სპეც. ტექნოლოგია	7	175		112			175
	სულ:	60		876	219		140	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- მეცადინეობაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება პროგრამის სასწავლო კურსების მიხედვით, 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

„განხილულია“ პროფესიული საბჭოს სხდომაზე
21.03.2016 წელი

ბრძანება №41/2; 21.03.2016წ.

1. შუალედური შეფასება – 70 ქულა

2. დასკვნითი შეფასება (საბოლოო გამოცდა) – 30 ქულა.

პროფესიული სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის მხოლოდ დადებითი შეფასებისას
დადებითი შეფასება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება დაეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის კრედიტების მიღება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს.

შეფასების მეთოდი:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება სწავლების ფორმატს და შესაფასებელი უნარების სპეციფიკას. შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები გაწერილია სასწავლო საგნების სილაბუსებში

XII. სწავლების მეთოდები

პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა ხდება თეორიული(თეორიული სასწავლოკურსები) და პრაქტიკული (სასწავლო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა) კომპონენტით

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების მეთოდები: ლექცია, როლური თამაში, ჯგუფური მუშაობა დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ჩვენება-დემონსტრირება,ინსტრუქტაჟი, კონსულტირება, ექსკურსია

პროგრამის სწავლების მეთოდები თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ადექვატურია

III. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	მასწავლებლის გვარი, სახელი
სასწავლო პრაქტიკა	ალუდიშვილი გია
საწარმოო პრაქტიკა	ალუდიშვილი გია
მასალათმცოდნეობა	ალუდიშვილი გია
სპეც ტექნოლოგია	ალუდიშვილი გია
უცხოური ენა - ინგლისური	პაპინაშვილი ნათია
ინფორმატიკა	კუპატაძე ირაკლი
ქართული კულტურის ისტორია	იზოლდა მელიქიშვილი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

- თეორიული სასწავლო კურსები მიმდინარეობს კომპიუტერით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიასა და კომპიუტერული კლასში, სადაც სტუდენტთა წვდომა ინტერნეტთან უზრუნველყოფილია
- სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს სათანადო ინვენტარით და მოწყობილობებით აღჭურვილ სასწავლო სახელოსნოში
- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა (მატერიალური და ელექტრონული სახით) სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში
- საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილია: ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი “საქართველოს კარიტასის“ სადურგლო საამქრო (მემორანდუმი - 30.06.14)

XV. ლიტერატურა

ძირითადი - „ხუდოჟესტვენხოე რაბოტი პო დერეგო (ხეზე მხატვრული მუშაობა)- ე.ს დვინიკოვა, ი.ი. ლიამინი - 1972წ.

დამხმარე - „ქართული ორნამენტი“ II, მარინა თევზაია - 2009 წ.
ინტერნეტგამოყენებისათვის [www. Woodcarving.com](http://www.Woodcarving.com)

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ხის მხატვრული დამუშავების მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დურგლის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

შენიშვნა: პროგრამას თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები

პროგრამის ხელმძღვანელი – გია ალუღიშვილი

პროფესიული განათლების მასწავლებლები:

1. გია ალუღიშვილი
2. იზოლდა მელიქიშვილი
3. ნათია პაპინაშვილი
4. ირაკლი კუპატაძე
5. ციცინო (ნანა) ანთაძე

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური ბაზა/რესურსები:

- სახელოსნო;
- სპეც. ტექნოლოგიების და მასალათმცოდნეობის კაბინეტი;

რესურსები

- ხეზე საჭრელი ინსტრუმენტები(ხის სატეხები);
- სალესი ქვეები;
- ელექტრო სალესი;
- ხელის ელექტრო რანდი;
- ელექტრო ზუმფარა (ტანკი);
- ხელის ელექტრო ფრეზი;
- ელექტრო ლობზიკი;
- ელექტრო ბეწვა ხერხი;
- ელექტრო ფლექსი (ბალგარკა);
- ელექტო ბურღი;
- ელექტრო ხერხი (ცირკული);
- ელექტრო პულივიზატორი;
- გონიო;
- სახაზავი;
- ლაქი;
- ბაიცი;
- სამუშაო მაგიდა (ვერსტაკი);
- სახატავი დაფა;
- მაგიდის განათება;
- სახატავი ფურცლები;
- მუყაოს რულონები შაბლონებისათვის;
- გამწოვი (პილასოსი);
- აფთიაქი;
- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები;
- სპეც-ტანსაცმელი;
- დამცავი სათვალეები;
- აირწინაღები.